სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

პრეამბულა

ქ. ბათუმი 2012 წელი 3 სექტემბერი

უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და შემოქმედების ინტეგრირების განხორციელების მიზნით სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- საბიბლიოთეკო მიმართულების სპეციალისტთა მიერ ტრეინინგებისა და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ბიბლიოთეკარის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი შემოქმედებითი და სამეცნიერო პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს გამოიყენებენ უნივერსიტეტის პროფესორები, პედაგოგები, სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართული სტუდენტები, ბიბლიოთეკის თანამშრომლები და სპეციალისტები.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებს.

1.4. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ ბიბლიოთეკარის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის პროექტისა და საგანმანათლებლო პროგრამის „ბიბლიოთეკარის" შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.5. უზრუნველყოფენ პროფესორ-მასწავლებელთა და სპეციალისტთა გაცვლას პროფესიული პრაქტიკებისა და შემოქმედებითი პროექტების ფარგლებში.

1.6. საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფენ სპეციალისტთა და სტუდენტთა სტაჟირებას.

1.7. უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკის ყოვნდით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3 მხარეები იღებენ ვალდებულებას მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ე. მესხია

ა(ა)იპ - ბათუმის ბიბლიოთეკის სახელობის ქალაქ
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი გ. მახარაძე